პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 27 ოქტომბერი, 1942 წ. № 255 (6571). ფასი 15 კაპ.

საწარმოები ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდნენ ზამთარს

მოგვიახლოვდა ომიანობის დროის მეორე ზამთარი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ მას. მკაცრი საომარი ვითარება მოითხოვს ზამთარშიც შეუფერხებლად იმუშაონ ჩვენმა ფაბრიკა-ქარხნებმა, ერთი წუთითაც არ შეანელონ სამხედრო ტემპებით მუშაობა და განაგრძონ პროდუქციისა და საომარი მასალების გამოშვება ქვეყნისა და ფრონტისათვის, გმირი წითელი არმიისათვის ვერაგ მტერზე გასამარჯვებლად.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ვალია ახლავე გულდასმით შეამოწმონ თავიანთი შენობები, ცალკე კორპუსები და საამქროები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მათი შეკეთებისა და დათბუნებისათვის. კარგია ის სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც იჩენს ინიციატივას და უნარს ზამთრისათვის სათბობის მოსამარაგებლად, სასადილოების საკვები პროდუქტებით უზრუნველსაყოფად, ადრევე ზრუნავს საწარმო-დაწესებულებათა სახურავებისა და სათბობი ღუმელების, კარებისა და ფანჯრების შეკეთებაზე, მინების ჩასმაზე, წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემის წესრიგში მოყვანაზე.

საწარმოთა წარმატებითი მუშაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობასაც. საწარმოთა შენობების ზამთრისათვის მომზადებასთან ერთად მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მუშათა საცხოვრებელი ბინები.

სახლების შეუკეთებელი სახურავი, კარები და ფანჯრები, ჩამტვრეული მინები და მოუწყობელი გათბობა — ეს ნიშნავს ბინებში სიცივეს, სინესტესა და ორპირ ქარს, რაც გამოიწვევს გაციებისაგან საწარმოთა მუშების ავადმყოფობას, მათ გამოყვანას წყობილებიდან.

ამიტომ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლების ზამთრისათვის მომზადება დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა და მას სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. საერთო საცხოვრებლების კეთილმოწყობა დამოკიდებული უნდა იყოს არა მარტო სამეურნეო მუშაკებზე, არამედ თვით მუშებზეც, მათ ოჯახებზე, რომლებმაც თავიანთ ბინებში უნდა დაამყარონ წესრიგი, იზრუნონ ზამთრისათვის.

ზამთრისათვის მზადების მხრივ კარგ მაგალითს იძლევა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, სადაც დირექტორად ამხ. მდინარაძეა. ამ ფაბრიკაში ადგილობრივი რესურსების ხარჯზე კაპიტალური რემონტი გაუკეთდა მთავარი კორპუსის სახურავს. ამისათვის გამოიყენეს ვენტილაციის სისტემის განახლების შედეგად მორჩენილი თუნუქის ძველი მასალა; მზად არის და უკვე გამოსცადეს კიდეც ორთქლით სათბობები, შეკეთებულია მატყლის საწყობები, წესრიგში მოჰყავთ წყალსადენები და კანალიზაცია; ზამთრისათვის ამზადებენ მუშათა საცხოვრებელ სახლებს, საბავშვო ბაგას და ბაღს. უკვე მიღებულია ყველა ზომა შეშით მომარაგების უზრუნველსაყოფად.

მისაბაძია პრაქტიკული ნაბიჯი თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაციისა, რომელმაც საკითხი ზამთრისათვის მზადების შესახებ ამ რამდენიმე დღის წინათ ღია პარტიულ კრებაზე გამოიტანა. კრებამ მოისმინა დირექციის მოხსენება და მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება, რომელმაც დააჩქარა ზამთრისათვის მზადების ტემპები როგორც ქარხანაში, ისე მუშათა საცხოვრებელ ბინებში. ქარხნის დირექტორს და პარტბიუროს მდივანს დავალებული აქვთ ყოველდღიურად შეამოწმონ ღია პარტიული კრების გადაწყვეტილების შესრულება.

მაგრამ ამასთანავე არიან საწარმოები, სადაც ჭიანურდება ზამთრისათვის შენობების მომზადება, სადაც ხელმძღვანელები ნაკლებ ინიციატივას იჩენენ სათბობის მომარაგების საქმეში. მაგალითად, თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის დირექციას, როგორც ეტყობა ზევიდან დახმარების მოლოდინში, ჯერ კიდევ არ გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯი შეშის მოსამარაგებლად, არ დაუმთავრებია მუშათა საცხოვრებლების რემონტი. დროა [illegible] ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია დაინტერესდეს ამ საკითხით.

ჩვენ მოგვეპოვება ყველა საშუალება იმისათვის, რომ ომიანობის დროის მეორე ზამთარს მომზადებული შევხვდროთ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოები და მუშათა საერთო საცხოვრებლები. საჭიროა ამ საშუალებათა მთლიანად და თავის დროზე გამოყენება. საჭიროა სამეურნეო ხელმძღვანელმა მუშაკებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად მოჰკიდონ ხელი საზამთრო პერიოდისათვის მზადების საქმეს.

სამშობლო, ფრონტი მოითხოვს მეტსა და მაღალხარისხოვან პროდუქციას, მეტ საომარ მასალას ვერაგი მტრის — გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის დაჩქარებით გასანადგურებლად. ამისათვის სუსხიან ზამთარშიც შეუფერხებლად უნდა განაგრძობდეს მუშაობას ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა საწარმო, მათი ყველა დარგი.

ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1942 წლის 25 ოქტომბრისათვის შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და დამზადების მთავრობის მიერ დაწესებული წლიური გეგმა.

მოკრეფილია და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 60.075 ტონა ჩაის ფოთოლი ანუ გეგმის 100,1 პროცენტი. ჩაის ფაბრიკებისათვის ჩაბარებული ჩაის ფოთლის რაოდენობა 3.897 ტონით აღემატება ფაქტიურ დამზადებას 1941 წლის 25 ოქტომბრისათვის. პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოკრეფილია 27.140 ტონა.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

სტალინგრადის რაიონში

მოქმედი არმია, 26 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის რაიონში გუშინ მთელ დღეს სასტიკი ბრძოლები სწარმოებდა შემომტევ გერმანელ ფაშისტთა ჯარებთან. მტერი, მნიშვნელოვანი ზარალის მიუხედავად, ჩვენს თავდაცვაზე მოძალებას არ ანელებს და თავს უყრის ახალ რეზერვებს.

გუშინ ვიწრო უბანზე ქარხნების რაიონში გერმანელებმა შეტევაზე გამოიყვანეს დიდძალი ქვეითი ჯარი და ტანკები. შემომტევ მტრის ჯარებს არტილერია და ავიაცია ეხმარებოდა. დღის განმავლობაში გერმანელთა თვითმფრინავებმა 1300-ზე მეტი თვითმფრინავგაფრენა მოახდინეს, ამასთან იერიშები ზედიზედ მოჰქონდათ. მოწინააღმდეგე ისწრაფვოდა რადაც უნდა დასჯდომოდა წინ გამოჭრილიყო. ჩვენი ქვეითები, არტილერისტები და ნაღმმტყორცნელები იგერიებდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების მოძალებას და დიდ ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ნ ნაწილი წარმატებით გადადიოდა კონტრიერიშებზე, რის შედეგადაც წამოღებულია დიდი დავლა.

სტალინგრადის სამხრეთით ნ ნაწილი წარმატებით ეწეოდა აქტიურ საბრძოლო მოქმედებას. აქ, ისევე როგორც ჩრდილო-დასავლეთ განაპირა უბანში, გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. სასტიკ შეტაკებებში გაჟლეტილია 4 ასეულამდე გერმანელი. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ ჩვენი ნაწილები აქტიურ მოქმედებას განაგრძობენ. გუშინ და დღეს ჩვენი მოიერიშე და ბომბდამშენი ავიაცია უშენდა და ბომბავდა მტრის თავდაცვას. სტალინგრადის დამცველნი განსაკუთრებული შეუპოვრობით ებრძვიან ჰიტლერელებს. სტალინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე იბრძვის მეავტომატეთა ასეული, რომელსაც ალექსანდრე ნევსკი მეთაურობს. ეს 19 წლის ჭაბუკი—გულადი, მამაცი მეთაური რისკისა და ზუსტი ანგარიშის შეხამებით უეცრად ესხმის თავს მტერს და ძლიერ დარტყმებს აგემებს მას. ამ დღეებში ნევსკის ასეულმა საბრძოლო ბრძანების შესრულებისას გასტეხა რუმინელთა თავდაცვა, მტრის ღრმა ზურგში შეიჭრა და რუმინელთა ნაწილის შტაბი გაანადგურა. მეავტომატეთა ასეულმა ტყვედ ჩაიგდო რამდენიმე ათეული რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ასამდე ოკუპანტი გაჟლიტა.

მამაცები მტრის არტილერიასთან ორთაბრძოლაში ჩაებნენ და ხელთ იგდეს რადიოსადგური, 4 ზარბაზანი, 15 ცხენი. ნევსკი 4-ჯერ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. მებრძოლთათვის ნაცნობი მისი ფიგურა ბრძოლის დროს უაღრესად საშიშ ადგილებში გამოჩნდებოდა ხოლმე. ნებისყოფიანმა, მარჯვე, ინიციატივიანმა მეთაურმა თავისი მებრძოლების სიყვარული მოიხვეჭა.

მისი სახელი განთქმულია მთელი ფრონტის მებრძოლებსა და მეთაურებში.

ქალაქის დამცველთა შორის ჩაღდება წინაოქტომბრო საბრძოლო შეჯიბრება. ყოველი ტყვია, ყოველი ნაღმი, ყოველი ყუმბარა ზუსტად მოვახვედროთ მიზანს, წვეულ ფაშისტებს—ასეთია წითელარმიელთა და მეთაურთა დევიზი. სნაიპერმა ზაიცევმა შეჯიბრებაში გამოიწვია სნაიპერი ხუჟმატოვი. პირველმა 52 ფაშისტი დახოცა, მეორემ—113. ზაიცევი თავის წერილში სწერს: „ახლოვდება ოქტომბრის წლისთავი. ძვირფასო ხუჟმატოვ, მოგიწოდებ გაორკეცო, გაასმკეცო ენერგია, რათა არცერთი წუთი არ დაიკარგოს უქმად, ჩვენი სნაიპერული ანგარიში ყოველსაათობით უნდა იზრდებოდეს. შენთან შეხვედრა და ლაპარაკი მინდა, მაგრამ ამჟამად დრო არა მაქვს. აალაპარაკოთ ჩვენი იარაღი".

პ. მარკოვსკი

რაზე ლაპარაკობენ რუმინელი ტყვეები

მოქმედი არმია, 21 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ნაწილების მიერ ტყვედ წამოყვანილი რუმინელი ჯარისკაცები გვიამბობენ რუმინეთის კატასტროფული მდგომარეობის შესახებ.

„ჟანდარმები,—ამბობს ტყვე ანიმ პაველი,—სოფელ-სოფელ დაიარებიან და ყველაფერი მიაქვთ. ჩემი ცოლის მიერ მოწეული 1.500 კილოგრამი ხორბლიდან ხელისუფლებამ 1.200 გერმანიისთვის ჩამოართვეს. ოჯახი მშიერი დარჩა. ერთი ბეწო თივაც კი არ დასტოვეს".

ჯარისკაც კარნიანუ ნიკოლის მეურნეობიდან წაიყვანეს უკანასკნელი ცხენი და ძროხა, ჩამოართვეს მთელი პური და მხოლოდ 60 კილოგრამი დაუტოვეს სულზე.

ამ ომში რუმინელებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ. ტყვეები ერთხმად აცხადებენ, რომ რუმინეთში აუარებელი ქვრივი და ობოლია. სიღატაკე მილიონთა ხვედრი გახდა.

„რუმინელებს,—ამბობს ტყვე ანიმი,—მე-3 დივიზიის მე-12 ბატალიონის სერჟანტი,—სძულთ ანტონესკუ და ჰიტლერი. ისინი ამბობენ, მას შემდეგ, რაც რუმინეთი არსებობს, ასეთი მოღალატური მთავრობა, როგორიც ახლანდელია, რუმინელებს არ ახსოვთო". ტყვეები აცხადებენ, რომ რუმინელ ჯარისკაცებს არა სურთ სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა. რუმინელი და გერმანელი ოფიცრები ძალით მიერეკებიან მათ ბრძოლაში.

ერეკებოდნენ რა რუმინელებს სასიკვდილოდ, გერმანელებმა მათ აღუთქვეს მალე გამარჯვება და შინ დაბრუნება. მაგრამ რუმინელები იწყებენ იმის შეგნებას, რომ ფრონტზე მათ აუცილებელი დაღუპვა მოელით.

„ჩვენს ჯარისკაცებს,—სთქვა მე-3 დივიზიის მე-12 პოლკის 1-ლი ასეულის ტყვე შიკრიკმა ბლიანც იონმა,—ახლა სჯერათ მოხუცებისა, რომლებიც ფრონტზე წამოსვლის წინ გვეუბნებოდნენ: „მას შემდეგ, რაც ქვეყნიერება არსებობს, რუსეთი ჯერ არავის დაუმარცხებიაო".

ვ. მედოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

25 ოქტომბრის დილის ცნობა

24 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ. გერმანელთა ქვეითი ჯარი, რომელიც გუშინ ერთ-ერთი ქარხნის განაპირას შემოიჭრა, ჩვენმა ქვეგანაყოფებმა განდევნეს ამ პოზიციიდან და უკუაქციეს. სხვა უბანზე ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელებმა სცადეს ჩვენი დასაყრდენი პუნქტების წინააღმდეგ იერიშის მოტანა. ნ ნაწილის მებრძოლებმა ახლო მანძილზე მოუშვეს მტერი, ხოლო შემდეგ თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჟლიტეს ასეულზე მეტი ჰიტლერელი. ლეიტენანტმა დურაგოვმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით დააზიანა გერმანელთა 2 ტანკი. ჩვენმა მფრინავებმა და მეზენიტეებმა გერმანელთა 15 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

სტალინგრადის სამხრეთით ჩვენი ქვეგანაყოფნი ღამით შეიჭრნენ მტრის განლაგებაში და 120 ჰიტლერელი გაჟლიტეს. მათ ხელთ იგდეს 6 ტყვიამფრქვევი, 2 ტანკსაწინააღმდეგო თოფი და სხვა დავლა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ და ცდილობდნენ დაებრუნებინათ წინადღით დაკარგული პოზიციები. შეტევაზე გადმოსულ ჰიტლერელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოსპობილ იქნა ჯერ კიდევ ერთი მაღლობის მისადგომებზე. ტანკისტთა და ქვეითთა კონტრდარტყმით მტერი დამარცხებულ და უკუქცეულ იქნა. მოსპობილია 5 ტანკი და 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ მტრის იერიშებს. ნ მაღლობის რაიონში მოსპობილ იქნა ერთ ასეულამდე ფაშისტი მეავტომატე, ხელთ ვიგდეთ 7 ტყვიამფრქვევი, 3 რადიოსადგური და სხვა სამხედრო ქონება. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა იერიში მოიტანეს ქვეგანაყოფებზე, რომლებსაც ამხ. მოლჩანინი და გურეევი მეთაურობენ. ჩვენმა მებრძოლებმა კონტრიერიშით უკუაქციეს მტერი პირვანდელ პოზიციებზე. გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს ნაღმსატყორცნი, 6 ტყვიამფრქვევი და თავიანთ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 80 გვამი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპობილ იქნა 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დანგრეულია მტრის 5 ბლინდაჟი და სამეთვალყურეო პუნქტი.

საბჭოთა მოიერიშე და ბომბდამშენი ავიაცია თავს დაესხა მტრის აეროდრომებს. მოსპობილია გერმანელთა 10 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის ავიაგამანადგურებელი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის არტილერისტთა ცეცხლით ჩახშობილ იქნა მტრის 9 საარტილერიო ბატარია და დამსხვრეულ იქნა 3 პროჟექტორი. არტილერისტებმა კაპიტან მარჩუკოვის მეთაურობით სროლა აუტეხეს გერმანელთა რკინიგზის ეშელონს, რომელიც ერთ-ერთ სადგურზე იდგა. სამიზნო რაიონში ძლიერი აფეთქება მოხდა.

* * *

ლენინგრადის ოლქში მოქმედი ერთი რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა 2 სამხედრო ეშელონი. ერთ ეშელონში 38 ვაგონი იყო, მეორეში—34 ვაგონი და ბაქანი.

ოქტომბრის დამდეგს ორიოლელ პარტიზანთა რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს, რომელიც დასახლებულ პუნქტში იყო დაბანაკებული. პარტიზანებმა გაჟლიტეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 2 ჯავშნიანი მანქანა, ააფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად, ხელთ იგდეს 82 ცხენი, შაშხანები და ვაზნები.

* * *

გერმანელ-რუმინელმა დამპყრობლებმა ოდესის ოლქში ყველა სკოლა დახურეს. მათ დასწვეს და დაიტაცეს სასკოლო ქონება, სასწავლო სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკები. ოკუპანტებმა სიკვდილით დასჯის მუქარით აკრძალეს უკრაინელი ბავშვებისათვის წერა-კითხვის სწავლება უკრაინულ ენაზე. ამას წინათ რუმინეთის ჟანდარმერიამ სოფელ მარიანოვკაში დააპატიმრა 55 წლის მასწავლებელი ანა გიორგის-ასული გოლოვკო. მას ბრალად დასდეს, კოლმეურნეთა შვილებს ფარულად ასწავლის და საბჭოთა სახელმძღვანელოებით სარგებლობსო. რუმინელმა ჯალათებმა სამ კვირას ამყოფეს საბჭოთა მასწავლებელი საპატიმროში, ხოლო შემდეგ ჩამოახრჩეს. გოლოვკოს 6 მოწაფე ქალ-ვაჟი, აგრეთვე მათი მშობლები რუმინელმა არამზადებმა საჯაროდ გაწკეპლეს.

* * *

იუგოსლაველმა პარტიზანებმა დაანგრიეს რკინიგზის ყველა ნაგებობა და ლიანდაგი აჰყარეს სადგურებს ვრხოვინესა და პერუშინს შუა. ამ რკინიგზის რაიონში პარტიზანები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ იტალიელი ოკუპანტების წინააღმდეგ. იტალიელებმა მარტო მოკლულთა სახით დაჰკარგეს 150-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანებმა მოსპეს 13 სატვირთო მანქანა, 2 ჯავშნიანი მანქანა, ხელთ იგდეს 55 შაშხანა, 6 ტყვიამფრქვევი და სხვა სამხედრო ქონება.

25 ოქტომბრის საღამოს ცნობა

25 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან **სტალინგრადის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

გასული კვირის განმავლობაში 18-დან 24 ოქტომბრამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში, აეროდრომებზე და ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 114 თვითმფრინავი. ჩვენ ამ ხნის განმავლობაში 51 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

24 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპო 2 ტანკი, 40 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშო 4 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, ააფეთქა საომარ მასალათა საწყობი, გაჰფანტა და ნაწილობრივ მოსპო მტრის 5 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის მრავალრიცხოვან იერიშს. ქალაქის გმირი დამცველები შეუპოვრად იცავენ ყოველ ქუჩას და ყოველ სახლს. დიდი მსხვერპლის ფასად გერმანელებმა მოახერხეს დაეკავებინათ მუშათა დაბის ორი ქუჩა. ნ ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის ჭარბი ძალების 5 იერიში და მოსპეს გერმანელთა 4 ტანკი და 260 ჰიტლერელი. გვარდიელი ნაღმმტყორცნელების ცეცხლით თავდასხმებით დამწვარია მტრის 3 ტანკი და გაწყვეტილია 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით, ცალკეულ უბნებზე, ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. ნ ნაწილის მებრძოლებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში გაწყვეტილია 600 რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ჩაახშეს მტრის გადამლობი ცეცხლი, მოიგერიეს მისი იერიშები და ხელთ იგდეს ერთი დასაყრდენი პუნქტი. ჩვენი მებრძოლების მიერ დაკავებულ თხრილებსა და სანგრებში აღმოჩნდა გერმანელთა 350-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი.

მფრინავმა მოიერიშეებმა ერთი დღის განმავლობაში დააზიანეს და მოსპეს მტრის 24 ქვემეხი, 6 ნაღმსატყორცნი, 17 სატყვიამფრქვევო წერტი, 29 ავტომანქანა, ცისტერნი საწვავიანად და 8 პროჟექტორი.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ნაწილები იუმჯობესებდნენ დაკავებულ ზღუდეებს. მტერი, რომელმაც უკანასკნელ დღეებში დიდი ზარალი ნახა, აქტიობას არ იჩენდა. საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა სამი თვითმფრინავი, მოსპეს 4 ჯავშნიანი მანქანა და 12 ავტომანქანა.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ამხ. კოლესნიკოვის სატყვიამფრქვევო გუნდმა ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხა მტრის ნავებს. გერმანელთა უმეტესობა დახოცილ იქნა ან მდინარეში დაიხრჩო.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანებმა ერთი თვის განმავლობაში ააფეთქეს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა 7 სარკინიგზო ეშელონი. მოსპობილია 7 ორთქლმავალი, 90 ვაგონი და პლატფორმა ჯარებიანად და ტვირთიანად. გარდა ამისა, ამ რაზმის პარტიზანებმა დასწვეს მტრის 46 ავტომანქანა და საწვავის საწყობი.

სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს ერთ დასახლებულ პუნქტში. გაჩაღებულ ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტებმა დახოცეს 93 და ტყვედ წამოიყვანეს 18 ჰიტლერელი. წამოღებულია დავლა: 39 შაშხანა, 4 დაზგისა და 9 ხელის ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 100 ნაღმი, 75 ყუმბარა და რამდენიმე ათასი ვაზნა.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა დამსჯელებმა მხეცურად გაუსწორეს ანგარიში სმოლენსკის ოლქის სოფელ სლობოდკას. ორი დღის განმავლობაში ჰიტლერელი ქურდები და ბანდიტები აბუჩად იგდებდნენ ამ სოფლის მშვიდობიან მცხოვრებთ და მოითხოვდნენ, 8.000 ფუთი კარტოფილი ჩაგვაბარეთო. ჰიტლერელმა არამზადებმა ათი მოხუცი დახვრიტეს. კოლმეურნე ალექსი გოლუბევს გაჩხრეკისას უპოვნეს წითელი დროშა, რომელიც კოლმეურნეობამ თავის დროს სამეურნეო წარმატებებისათვის მიიღო. ბანდიტები დიდხანს აწამებდნენ მოხუცს, კონდახს სცემდნენ, ფეხით სთელავდნენ, შემდეგ კი ჩამოახრჩეს. სოფლის ყველა დანარჩენი მცხოვრები ჰიტლერელებმა საკატორღო სამუშაოზე გარეკეს.

მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია, 25 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მოზდოკის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებს. წინა ბრძოლებში საბჭოთა ჯარების მიერ სისხლისაგან დაცლილი გერმანელები სასწრაფოდ აგებენ თავდაცვითს მიჯნებს, თავს უყრიან ქვეითი ჯარისა და ტანკების რეზერვებს, ახდენენ თავიანთ ძალების გადაჯგუფებას.

ერთ-ერთ უბანზე მტრის ჯგუფმა სცადა შემოჭრილიყო ჩვენი ბატალიონის თავდაცვის სიღრმეში. საბჭოთა მებრძოლებმა 50-60 მეტრზე მოუშვეს ჰიტლერელები, ხოლო შემდეგ თოფ-ტყვიამფრქვევის შეწყობილი ცეცხლით იწყეს მათი გაჟლეტა. გერმანელებმა დაჰკარგეს მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი და პირვანდელ პოზიციებზე დაიხიეს.

როდესაც სერჟანტ ხავრონიჩევის ათეულისაკენ დაიძრა 30 გერმანელი მეავტომატე, უმცროსი მეთაური ტყვიამფრქვევს მიუჯდა და ზუსტი ჯერებით მოსპო 15 ჰიტლერელი. წითელარმიელმა ტიშიბაევმა წინ წაიწია, მოხერხებული საცეცხლე პოზიცია ამოირჩია და შაშხანით დახოცა 5 მეავტომატე. სხვა უბანზე იმ გუნდის ნაღმმტყორცნელებმა, რომელსაც ამხ. გორკოვი მეთაურობს, მოსპეს გერმანელთა დაზგის ტყვიამფრქვევი და მტრის 20 მეავტომატე.

საგრძნობ დარტყმებს აგემებენ ჰიტლერელებს ნ ნაწილის მებრძოლნი. მარტო ერთი დღის განმავლობაში მათ მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჟლიტეს რუმინელთა სამთომსროლელი დივიზიის ჯარისკაცები და ოფიცრები.

ჰიტლერელებს აშინებთ რუსეთის ზამთრის დაწყება. გერმანელთა 198-ე საარტილერიო პოლკის ეფრეიტორმა ბაბექ კარლ ერიხმა, რომელიც ტყვედ ჩავიგდეთ, განაცხადა: „ჯარისკაცებმა კარგად იციან, რომ ომი წელს არ დამთავრდება, რადგან რუსები მეტად ძლიერი არიან. ჯარისკაცები სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ მომავალ ზამთარზე, მის არაჩვეულებრივ სიძნელეებზე. განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობს ამ თემაზე ის, ვინც რუსეთის ზამთარი გამოიარა 1941-42 წელს. როდესაც ჯარისკაცები გაიგებენ ამა თუ იმ ასეულის დანაკლისს, ბევრი მათგანი აშკარად ლაპარაკობს, რომ ეს ადამიანთა უსარგებლო დაღუპვაა. გერმანია წააგებს ომს სსრ კავშირთან".

გ. ოშაროვსკი

გეგმების შესრულება

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 ოქტომბრისათვის თამბაქოს შეტეხის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს—ნაცვლად 700.000 ზონარმეტრისა შეტეხეს 770.065 ზონარმეტრი თამბაქო. ამავე რიცხვისათვის ბათუმის რაიონმა მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის 1942 წლის სახელმწიფო გეგმა 101,9 პროცენტით შეასრულა.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი ვ. სანიკიძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ჟურჟუბაძე

* * *

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის 1942 წლის სახელმწიფო გეგმა.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი დვალი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მებრელიძე

* * *

ყვარლის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 83.730 კილოგრამის ნაცვლად, დამზადებულია 83.777 კილოგრამი პარკი. დამზადება გრძელდება.

ყვარლის რაიაბრეშუმის გამგე ლასხიშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი ა. [illegible]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 ოქტომბრის დილის ცნობა

25 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან **სტალინგრადის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. ძლიერი საარტილერიო და სანაღმმტყორცნო მომზადების შემდეგ მოწინააღმდეგემ ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით კვლავ მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე ქარხნების რაიონში. ჩვენი მებრძოლნი მამაცურად იგერიებდნენ მტრის იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას. მარტო საარტილერიო ცეცხლით გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია გერმანიის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი, დაზიანებულია მოწინააღმდეგის 14 ტანკი და ჩახშობილია 15 ნაღმსატყორცნი ბატარიის ცეცხლი. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რომლებიც არაერთხელ იქცა ხელჩართულ შეტაკებებად, გერმანელებმა მოახერხეს შემოჭრილიყვნენ ერთ-ერთი ქარხნის განაპირა უბნისაკენ. ჩვენი ნაწილები ეწევიან ბრძოლებს მოწინააღმდეგის ამ ჯგუფის მოსასპობად.

საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანიის 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ზოგიერთ უბანზე ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და ხელში ჩაიგდეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი ძელმიწური საცეცხლე წერტები, ტრანშეები და სანგრები. ნ ნაწილის მებრძოლებმა ბრძოლის შედეგად დააზიანეს გერმანელთა 5 ტანკი და მოსპეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. ამავე ბრძოლაში ჩვენმა ტანკისტებმა ცეცხლითა და მუხლუხებით მოსპეს 12 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 2 თვითმავალი ზარბაზანი, 8 ტყვიამფრქვევი და 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ამხ. კონოვალოვის ქვეგანაყოფის მზვერავთა ჯგუფი შეიჭრა მოწინააღმდეგის სანგრებში და გაჩაღებულ ბრძოლაში დახოცა 70-ზე მეტი იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მოზდოკის რაიონში არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევების კანტიკუნტი სროლა სწარმოებდა. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი, მიწაზე მოსპეს 20 ავტომანქანა და გაჰფანტეს მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. გერმანელთა [illegible] სამხედრო მასალების საწყობი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე ჩვენი ნაწილების თოფ-ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის ცეცხლით დახოცილია მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია მოწინააღმდეგის ნაღმსატყორცნი ბატარია, დანგრეულია რამდენიმე ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე იმ ქვეგანაყოფის სნაიპერებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ბუგაევი, რამდენიმე ხნის განმავლობაში 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს. ნ ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 6 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, ჩაახშეს მოწინააღმდეგის ორი საარტილერიო ბატარიის ცეცხლი და ააფეთქეს საომარი მასალების საწყობი.

* * *

ვიტებსკის პარტიზანების რაზმი თავს დაესხა მოწინააღმდეგის გარნიზონს, რომელიც დაბანაკებული იყო ერთი საბჭოთა მეურნეობის კარმიდამოში. პარტიზანებმა დახოცეს 45 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დასჭრეს 28. პარტიზანების სხვა რაზმმა, რომელიც ვიტებსკის ოლქში მოქმედებს, ოკუპანტებთან ბრძოლაში 120 ჰიტლერელი მოსპო. ამ რაზმის ერთმა პარტიზანმა გზატკეცილი დანაღმა. ჩაწყობილ ნაღმებზე აფეთქდა მოწინააღმდეგის ავტომანქანა. მოკლულია 2 გერმანელი ოფიცერი და 6 ჯარისკაცი.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ქ. ბატაისკისა და მისი მიდამოების 140 მცხოვრები გარეკეს სამხედრო სიმაგრეთა მშენებლობაზე. ჰიტლერელები საბჭოთა ადამიანებს აიძულებდნენ დღე-ღამეში შეუსვენებლივ 16-18 საათს ემუშავნათ, შიმშილით ჰკლავდნენ, სცემდნენ და აბუჩად იგდებდნენ მათ. შიმშილით და ცემით 19 დღის განმავლობაში 47 კაცი მოკვდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ფაშისტმა მტარვალებმა ცოცხლად დარჩენილი 93 კაცი კარჭაპში ჩასხეს, მთლად გაპშიშვლეს და მდინარეში დაახრჩეს.

* * *

ლიბრამონის სადგურის მახლობლად (ბელგია) დაიმტვრა გერმანელთა ეშელონი, რომელსაც ჯარები გადმოჰყავდა აღმოსავლეთისაკენ. ორთქლმავალი და 6 ვაგონი ნაღმზე აფეთქდა.

26 ოქტომბრის საღამოს ცნობა

26 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში და **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

25 ოქტომბერს ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპო გერმანელთა 12 ტანკი, 50-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დაამსხვრია რკინიგზის ეშელონი, ააფეთქა 2 საწყობი საომარ მასალიანად და საწვავის საწყობი, ჩააჩუმა საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, გაჰფანტა და ნაწილობრივ მოსპო მტრის ოთხ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

ფლოტის ავიაციამ ფინეთის ყურეში ჩასძირა მტრის 12.000 ტონა საერთო წყალწყვის 2 ტრანსპორტი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის იერიშებს იგერიებდნენ. იმ უბნის ქარხნების რაიონში, რომელსაც ნ ნაწილი იცავს, ჰიტლერელთა დიდმა ძალებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. ხუთ საათს გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლა. გერმანელებმა მოახერხეს სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში. მაშინ ჩვენმა მებრძოლებმა ფლანგებზე დაარტყეს მტერს, გაჰქლეს იგი და აიძულეს უკან დაეხია. ამ ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა 3 ტანკი, 9 ნაღმსატყორცნი, 7 ტყვიამფრქვევი და 750-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით მთელ რიგ უბნებზე გრძელდებოდა ბრძოლები. ნ ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 3 ასეულამდე ქვეითი ჯარი, დააზიანეს 6 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, მოსპეს 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 10 ბლინდაჟი და 15 სატყვიამფრქვევო წერტი.

საჰაერო ბრძოლებში, მტრის აეროდრომებზე და ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 9 თვითმფრინავი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე, წინ წაიწია და გაჟლიტა ერთ ასეულამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელთა 1-ლი ცალკე მაღალსამთო ბატალიონის ჯარისკაცებმა, რომლებიც ტყვედ ჩავიგდეთ, განაცხადეს: ბატალიონმა, რომელიც 1400-მდე ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან შესდგებოდა, უკანასკნელ ბრძოლებში 1000-მდე კაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

* * *

ვორონეჟის რაიონში, დონის დასავლეთ ნაპირზე, ლეიტენანტ კანიგინის ქვეგანაყოფის მებრძოლები მოწინააღმდეგის სანგრებში შეიჭრნენ და გამაგრდნენ იქ. ჰიტლერელებმა რამდენჯერმე სცადეს დაებრუნებინათ მოხერხებული მიჯნა, მაგრამ ტყვიამფრქვევის ცეცხლით უკუგდებულ იქნენ, თანაც დიდი ზარალი მოუვიდათ. წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა უნგრელთა მე-12 ქვეითი დივიზიის 8 ჯარისკაცი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი ქვეგანაყოფების მოქმედებით ორი დღის განმავლობაში გაჟლეტილია 400-მდე მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 3 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი და 8 დაზგის ტყვიამფრქვევი. ფრონტის ერთ-ერთი ნაწილის სნაიპერებმა დღის განმავლობაში 48 ჰიტლერელი გაჟლიტეს.

* * *

კალინინელ პარტიზანთა რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს, რომელიც განლაგებული იყო რკინიგზის სადგურზე. პარტიზანებმა დასწვეს ყაზარმა, სადაც ჰიტლერელები იმყოფებოდნენ. ბრძოლაში გაჟლეტილია 55 ოკუპანტი.

კალინინელ პარტიზანთა სხვა რაზმი თავს დაესხა გერმანელთა კოლონას. პარტიზანებმა დახოცეს 20 გერმანელი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს დაზგის ტყვიამფრქვევი და 8 შაშხანა. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანიაში მიმავალი პირუტყვის ეშელონი.

* * *

ვორონეჟის ფრონტზე მოქმედი ნ ნაწილის მზვერავთა ჯგუფი გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზურგში იყო. წითელარმიელმა მზვერავმა ამხ. კირიუშინმა მოგვითხრო ჰიტლერელთა საზარელი მხეცობის შესახებ: „კურსკის ოლქის ივანოვკაში გერმანელებმა ეკლესიაში შერეკეს 145 ტყვე წითელარმიელი და მშვიდობიანი მცხოვრები. მძიმე დაჭრილებსაც კი არ უწევდნენ არავითარ სამედიცინო დახმარებას. ეკლესიაში დამწყვდეულ საბჭოთა მოქალაქეებს მრავალი დღის განმავლობაში არც ერთი ნამცეცი პური არ მიუღიათ, არც სხვა რაიმე საჭმელი. მოკლე ხანში შიმშილისა და ჭრილობისაგან 28 კაცი დაიხოცა. მათი გვამები არავის აუკრეფია. მეთხუთმეტე დღეს რამდენიმე კაცი-ღა დარჩა ცოცხალი".

საბჭოთა პატრიოტები თვითმფრინავებსა და ტანკებს აშენებენ

დღითიდღე სულ უფრო და უფრო ფართო გაქანებას იღებს ტანკებისა და საომარი თვითმფრინავების ასაგებად თანხების შეგროვება, რაც მშრომელთა ინიციატივით დაიწყო.

ზლატოუსტის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი თავისი თანხებით აშენებს ოქტომბრის XXV წლისთავის სახელობის სატანკო კოლონას. სუჩანის (პრიმორიეს მხარე) თავდაცვაავიაქიმელებმა ათიათასობით მანეთი შეიტანეს სატანკო კოლონებისათვის. ვოლოგდის ოლქის კოლმეურნეებმა სატანკო კოლონის ასაგებად დაახლოებით ერთი მილიონი მანეთი შეაგროვეს. მოლოტოვის ოლქის სახელოსნო სასწავლებელთა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლათა მოსწავლეები თანხებს აგროვებენ საომარი თვითმფრინავების ესკადრილია „შრომითი რეზერვების" ასაგებად. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ Ა. Ს. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ

საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. გაბუნია ულოცავს ამხ. ა. გეგეშიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებას. ცენტრში—მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. დუნდუა.

საბჭოთა კავშირის გმირ ა. გეგეშიძის ბიძა ერისტო გეგეშიძე ულოცავს თავის ძმისწულს საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ Ა. Ს. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ

(ᲛᲝᲙᲚᲔ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ)

არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძე დაიბადა 1902 წელს სოფ. მელაურში (სამტრედიის რაიონი). მამამისი სპირიდონი უმიწაწყლო გლეხი იყო. მას 9 შვილი ჰყავდა და ოჯახის შესანახად იძულებული იყო წარსულში მოჯამაგირედ მიჰქირავებოდა ადგილობრივ მემამულეებს. ამიტომ მოხდა, რომ პატარა არკადის მამამ შვილს მეორე კლასიდანვე მიანებებინა თავი სწავლას და გვერდში ამოიყენა. რამდენიმე ხნის შემდეგ არკადი ხელახლა დაუბრუნდა სკოლას, მაგრამ სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო მალე სასწავლებლიდან დაითხოვეს.

პატარა არკადი რომ წამოიზარდა, მან გადაწყვიტა საკუთარი ძალ-ღონით გაეკაფა ცხოვრების გზა და როგორმე სწავლა მიეღო. მაშინ თბილისში ტრამვაიზე მუშაობდა მისი უფროსი ძმა პარმენი. მისი დახმარებით 1916 წ. დამხმარე მუშად მოეწყო ტერ-ასატუროვის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში. შემდეგ იგი უკვე მხერხავის თანაშემწედ გადაიყვანეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. ა. გეგეშიძე მუშაობს თბილისის ერთ-ერთ სახერხ ქარხანაში, სადაც იგი მიღებულ იქნა კომკავშირის რიგებში.

1923 წელს ამხ. ა. გეგეშიძე სასწავლებლად გაგზავნეს ქუთაისის სამთვიან პარტიულ სკოლაში. აქედან დაბრუნებისას რამდენიმე ხნის განმავლობაში იგი კომკავშირულ სამუშაოზე იყო სამტრედიაში.

1924 წელს, წითელ არმიაში კომკავშირული გაწვევისას, არმიის რიგებში წავიდა ამხ. ა. გეგეშიძეც. მას შემდეგ იგი განუწყვეტლივ წითელი არმიის რიგებშია. ამ წლების მანძილზე მან დაამთავრა მეთაურთა საშწლიანი სკოლა, შემდეგ საკავშირო ცაკის სახელობის სამხედრო სკოლა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. 1927 წელს არკადი გეგეშიძე მიღებულ იქნა საკ. კ. პ (ბ) რიგებში.

1936 წელს ამხ. არკადი გეგეშიძე გადაიყვანეს შორეულ აღმოსავლეთში, სადაც იგი მუშაობდა წყნარი ოკეანის წითელ სამხედრო-საზღვაო ფლოტში. აქ იგი უკანასკნელად მეთაურობდა მეტყვიამფრქვეველთა ბატალიონს.

1941 წელს წყნარი ოკეანეს ფლოტიდან იგი გადაიყვანეს დუნაის საბჭოთა სამხედრო ფლოტილიაში.

სამამულო ომის დაწყებამ ამხ. ა. გეგეშიძეს იქ მოუსწრო. იგი და მასთან მყოფი ჩვენი გმირი წითელფლოტელები თავდადებულად ებრძოდნენ ვერაგ მტერს და დაუზოგავად ანადგურებდნენ მის ცოცხალ ძალას და ტექნიკას.

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის, 1942 წლის თებერვალში კაპიტანი არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

ოდესა, ნიკოლაევი, ხერსონი, ციურუპინსკი და ბოლოს სევასტოპოლი, აი ის ბრძოლის გზა, რომელიც განვლო ამხ. ა. გეგეშიძემ. მთელი 8 თვის განმავლობაში ებრძოდა ფაშისტ ოკუპანტებს გულადი და თავდადებული კაპიტნის ა. გეგეშიძის ქვეგანაყოფი. მამაცი წითელფლოტელები ამხ. გეგეშიძის მეთაურობით მუსრს ავლებდნენ ვერაგი მტრის ურდოებს. სამშობლოს ერთგულების მრავალი გმირული მაგალითი გვიჩვენეს მათ სევასტოპოლის ამ გმირული დაცვის დღეებში. კაპიტანმა ა. გეგეშიძემ ოთხჯერ გაარღვია გარემოცვის რკალი და თავიანთი მებრძოლებიანად სამშვიდობოზე გამოვიდა. ამ ბრძოლებში ის მძიმედ დაიჭრა.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის კაპიტან არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ლენინის ორდენის და მედალ „ოქროს ვარსკვლავის" გადაცემით.

ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

(„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

15 წლის წინათ დასტოვა თავისი სამშობლო სოფელი მელაური საბჭოთა კავშირის გმირმა არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძემ. ჯერ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის სახმელეთო ნაწილებში და შემდეგ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებში სამსახურმა და მუშაობამ, სამხედრო ცოდნის შემდგომი ამაღლების დაუძლეველმა სურვილმა ის ძლიერ გაიტაცა. ეს განვლილი 15 წლიწადი საერთო განათლებისა და სამხედრო-ტაქტიკური ცოდნის დაუფლების წლები გახდნენ მისთვის. სამტრედიის რაიონიდან წასულმა კომკავშირელმა ჭაბუკმა უბრალო მხერხავიდან დავაჟკაცებისას საპატიო სამეთაურო თანამდებობას მიაღწია. მას ყველანი შეეჩვივნენ იქ, სადაც ის იყო, იგი ყველას შეუყვარდა, ყველა პატივისცემითა და ნამდვილი მშობლიური მზრუნველობით ეპყრობოდა მას.

საქართველოდან ათასეული კილომეტრების მანძილზე ცხოვრობდა, სწავლობდა და მომავალი საგმირო ბრძოლებისათვის ემზადებოდა მელაურელი კოლმეურნის შვილი არკადი გეგეშიძე.

სამტრედიიდან ნინოშვილის ქუჩას რომ გაჰყვეთ, მშვენიერ გზატკეცილზე გახვალთ. გზის გასწვრივ ორივე მხარეზე ცათამწვდენი ალვის ხეები არიან ამოლტილნი. ალვის ხეებს იქით სიმინდის ყანებია. ცოტას გაივლით გზატკეცილს და შეხვალთ ვაკე იმერეთის და[illegible]იათებელ სოფელში. კოპწია სახლები სუფთად შემოკავებული ეზოებით, ლეღვის ხეებით, სხვადასხვა სუბტროპიკული ხეხილით საამო შთაბეჭდილებას ჰქმნის გამვლელზე. სოფელი ქალაქ-ბაღს მოგაგონებთ.

ამ სოფელში დაიბადა და დაჭაბუკდა საბჭოთა კავშირის გმირი არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძე. 15 წლის წინათ აქედან წასული ამ სოფლის ეს საამაყო შვილი 25 ოქტომბერს დაბრუნდა თავის მშობლიურ სოფელში.

როგორ შეცვლილა ყველაფერი! ირგვლივ ეგზოტიკური ხეხილის სურნელებაა, ვენახები, ყანები. უწინ აქ ყველგან ეწერი და ჭაობი იყო. სკოლა აუშენებიათ, სოფელს საუცხოო ბიბლიოთეკა აქვს, ველოსიპედების სიხშირეა, ავტომობილებიც ბლომად დაჰქრიან. სად იყო ყველაფერი ეს ამ 15 წლის წინათ? არკადი გეგეშიძე თავის მშობლიურ სოფელშია, მაგრამ ვეღარაფერს სცნობს. ორღობეების მაგიერ განიერი ქუჩებია, ახალი სახლებია, ახალი ცხოვრებაა.

— ო, ბიძია ერისტოს გაუმარჯოს, ვერ მიცანი?

ერისტო გეგეშიძე 85 წლის მოხუცია. ანაზდეულად ვერ იცნო საყვარელი ძმისწული... გადაეხვია მოხუცი დაჭრილ გმირს, გულში ჩაიკრა. აგერ მეორე, მესამე, მეოთხე მეზობელი გამოჩნდა...

— სპირიდონ გეგეშიძის შვილი არკადი ჩამოსულაო, გავრცელდა სოფელში ხმა. მახლობლებმა, მეზობლებმა, ნათესავებმა თავი მოიყარეს სპირიდონ გეგეშიძის ეზოში. სახელოვანი გმირი არკადი გეგეშიძე მათ შორის იყო, საუბრობდა, საკუთარ თავგადასავალს უამბობდა, მათ ამბებს ეკითხებოდა. სოფელში უკვე გაგებული ჰქონდათ სასიხარულო ამბავი, რომ არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება.

დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა—ყველანი სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით მიესალმებოდნენ ამ საყვარელ ადამიანს, სოფელში ახლად დაბრუნებულ გმირს. ზოგი სახლში ჰპატიჟობდა, ზოგს ხილი მოჰქონდა მოსაკითხავად. ჰკოცნიდნენ, ულერსებდნენ მას.

— რა ტკბილია სამშობლო სოფელი, ჩემი სოფელი!—ამბობდა არკადი გეგეშიძე.

დ. ლომთაძე

ილო. მოსაშვილი

ᲐᲠᲙᲐᲓᲘ ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ

აი სახელი—როგორც მახვილი
მოსისხლე მტერზე შესამართველი,
მტკვარი ალაზანს, ენგურს რიონი,
ქებით გადასცემს ქართველს
ქართველი!

ერთი სიცოცხლე მისცა ქვეყანამ—
ერთი პატარა თვალის გახელა,
თვითონ სამშობლოს ექცა ათასად
და ხალხის გმირი დაჰრჩა სახელად.

ერთი სიცოცხლე იქცა ათასად,
ერთი მარჯვენა—ათას მარჯვენად,
ჩვენი შვილების, ჩვენი დედების
თავისუფლების გადასარჩენად.

აი სახელი! ქართლის მიწაზე
ასე უზრდია არწივს მართვები!
დედა შვილს, შვილი —
შთამომავლობას,
ქებით გადასცემს ქართველს
ქართველი.

იტყვის: სამშობლოს პირველ
ძახილზე
სამშობლოს შვილმა აღარ იცადა,
გვერდით დაუდგა ბელადის
დროშას—
რასაც სიცოცხლის დღიდან
ჰფიცავდა,
სიკვდილს ხედავდა—არა დრკებოდა,
ცეცხლში იდგა და მაინც იცავდა.

იდგა გმირულად, მტერს არ დაუთმო
მშობელი ქვეყნის მამულ-დედული,
იკურთხოს მისი დედის ნანინა
და მისი მამის გუთნისდედური.

აი სახელი! ქართლის მიწაზე
ასე უზრდია არწივს მართვები,
მტკვარი ალაზანს, ენგურს რიონი,
ქებით გადასცემს ქართველს
ქართველი!

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲡᲝᲤ. ᲛᲔᲚᲐᲣᲠᲨᲘ

(„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, 25 ოქტომბერი. 25 ოქტომბერს სოფელ მელაურში დიდი ზეიმი იყო. ამ დღეს აქ ჩამოვიდა ამავე სოფლის სახელოვანი შვილი, საბჭოთა კავშირის გმირი არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძე. წინადღით მიღებულ სასიხარულო ცნობას, რომ არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, მელაურებისათვის მეორე სასიხარულო ამბავიც დაერთო: სოფელში ჩამოვიდა მათი სახელოვანი შვილი.

საღამოს თვით კოლმეურნეთა ინიციატივით სოფ. მელაურის კ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის ეზოში მოწვეულ იქნა სასოფლო მიტინგი. მიტინგზე დასასწრებად მოვიდნენ სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები—საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. გაბუნია, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. დუნდუა და სხვ. ადგილობრივ კომკავშირელებს საზეიმოდ მოერთოთ კოლმეურნეობის გამგეობის ეზო და შენობა. წითელ არშიებზე ასეთი წარწერები იყო: „გაუმარჯოს ჩვენს მამას და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!", „სახელი და დიდება საბჭოთა კავშირის გმირებს!", „გაუმარჯოს ჩვენს საამაყო პირმშოს, საბჭოთა კავშირის გმირს არკადი გეგეშიძეს!", „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!"...

კოლმეურნეობის გამგეობის ვრცელი ეზო ხალხით აივსო. ხალხით გაიჭედა ქუჩაც, მეზობელი ეზოებიც.

არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძისათვის საბ-[illegible]

[illegible] ქაჩეიშვილმა, მოხუცმა კოლმეურნემ ამხ. ა. ნიკურაძემ, კომკავშირელმა კოლმეურნემ ამხ. ელენე ყიფშიძე-ქაჩეიშვილმა, მებრძოლე კოლმეურნე გოგონამ ეთერ სტურუამ და სხვ. გმირისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა კოლმეურნე ლუბა სტურუამ.

გამომსვლელნი გამოთქვამდნენ რა სიხარულს მათი საამაყო თანასოფლელის არკადი გეგეშიძისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების გამო, მიტინგზე გამოსული ორატორები სიტყვას იძლეოდნენ, რომ კიდევ უფრო თავდადებით იმუშავებენ ფრონტის უზრუნველსაყოფად ყოველივე იმით, რაც საჭიროა ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

მიტინგის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. არკადი გეგეშიძემ. მან მოუთხრო მიტინგზე დამსწრეთ იმ ბრძოლების შესახებ, რაც მან და მისმა მებრძოლებმა გადაიხადეს სამამულო ომის დაწყების დღიდან. ამ ბრძოლების დროს, განაცხადა ამხ. ა. გეგეშიძემ, — არასოდეს არ მავიწყდებოდა ის, რომ იმ ქვეყნის შვილი ვარ, რომელმაც მშრომელ კაცობრიობას მისცა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მებრძოლნა თავდადებულად და არ შემერცხვინა ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის სახელი.

ამხ. არკადი გეგეშიძეს და მიტინგზე გამოსულ სხვა ორატორებს, როცა ისინი ლაპარაკობდნენ [illegible]

საბჭოთა კავშირის გმირი ა. გეგეშიძე, მისი ცოლი პანია და შვილები ვილი, ოთარ, სერგო, იური და მარუსა. სურათი გადაღებულია სამტრედიაში 1942 წ. 25 ოქტომბერს.

ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 24 ოქტომბერი (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, შვეციის პოლიციამ უსაფუძვლოდ დააკავა საბჭოთა მოქალაქე, „ინტურისტის" სტოკჰოლმის განყოფილების თანამშრომელი სიდორენკო. არსებული ცნობების მიხედვით, შვეციის პოლიცია ნებას აძლევს თავის თავს სიდორენკოს მიმართ გამოიყენოს შვეციაში სრულიად უჩვეულო თვითნებობისა და ძალადობის აღმაშფოთებელი აქტები. მიმართავენ რა ჰიტლერული გესტაპოს ჯურღმულებში შემოღებულ მეთოდებს, შვეციის პოლიციის მოხელეები აბუჩად იგდებენ და სცემენ სიდორენკოს, უშედეგოდ ცდილობენ აიძულონ იგი პოლიციისათვის სასურველი პასუხი მისცეს სულელურ პროვოკაციულ კითხვებზე. რადგან სიდორენკომ უარი განაცხადა ხელი მოეწერა პოლიციის მიერ [illegible] სთქვა პასუხი გაეცა პროვოკაციულ კითხვებზე, პოლიციის მოხელეები მხეცური ძალადობის შემდგომ აქტებს მიმართავენ, რათა გამოსძალონ მას „აღიარება".

შვეციის სასამართლოს წარმომადგენელმა, რომელიც უკვე გაცნობილია თვითნებობისა და ძალადობის ამ აღმაშფოთებელ აქტებს, არა თუ არ მიიღო ზომები მათი აღკვეთისათვის, არამედ სიდორენკოს პროტესტის პასუხად გამოაცხადა, რომ ძალადობას, რომელიც საჭირო იქნება დაკითხვისას, შემდეგშიც მიმართავენ.

საბჭოთა დიპლომატიურმა მისიამ სტოკჰოლმში საჭირო ზომები მიიღო იმისათვის, რომ დაიცვას სიდორენკო ჰიტლერელთა მეთოდების შვედი მიმბაძველების თვითნებობისაგან.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 25 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებული ძალების სარდლობის 25 ოქტომბრის კომუნიკეში ნათქვამია: „24 ოქტომბერს განთიადისას მე-8 არმიის მოწინავე ნაწილები შეიჭრნენ მტრის ძირითადი გამაგრებული ხაზის სიღრმეში მთელ რიგ პუნქტებში. დღის განმავლობაში დაკავებული პოზიციები შეინარჩუნეთ, მიუხედავად მტრის კონტრიერიშებისა. ბრძოლები გრძელდება. უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ინგლისელთა ავიაცია მაქსიმალური ინტენსივობით განაგრძობდა იერიშების მიტანას მტრის სახმელეთო ძალებსა და მის პოზიციებზე საომარი მოქმედების რაიონში".

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 26 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ეგვიპტის ფრონტზე ბრძოლები გრძელდებოდა. მოხდა ორივე მხარის ჯავშნოსანტანკო ძალთა რამდენიმე მცირე შეტაკება. მტერმა ვერ მოახერხა გამოედევნა ინგლისელთა ჯარები მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან. 25 ოქტომბრის 18 საათამდე ტყვედ წამოყვანილია 1.450 გერმანელი და იტალიელი.

24 ოქტომბერს ღამით და გუშინ დღისით მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა ინტენსიურ თავდასხმებს მტრის ობიექტებზე ბრძოლების რაიონში. გაძლიერდა მტრის ავიაციის აქტივობაც. მაგრამ ინგლისის მფრინავებმა წარმატებითი მოქმედებით ჩამოაგდეს მტრის სულ ცოტა 15 თვითმფრინავი და ბევრი სხვა დააზიანეს.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ეგვიპტის ფრონტზე ბრძოლებში მონაწილეობენ მოკავშირეთა ქვეითი დივიზიები. ფრონტის ხაზის დასავლეთით, ელ-ალამეინთან ცალკეული სატანკო ბრძოლები სწარმოებს. მოწინააღმდეგემ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ლობურები მოაწყო, რათა მერვე არმიის მძიმე ტანკებს ხელი შეუშალოს წინ წაიწიონ ნაღმიან მინდვრებში გაკეთებული გასასვლელებით. მაგრამ ინგლისელთა ჯარებმა მოასწრეს წინწაწევა თავიანთ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებათა და საველე არტილერიის დახმარებით.

როგორც აფის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისელებმა ბრძოლა დაიწყეს არა ჯავშნოსანტანკო ნაწილებით, არამედ ჯერ ბრძოლაში გამოიყვანეს ქვეითი ჯარის მასები, ტანკები კი რეზერვში დაიტოვეს. ამავე დროს ავიაცია ხელს უწყობდა ქვეითი ჯარის შეტევას. ჯავშნოსანტანკო ძალები ბრძოლაში გამოყვანილ იქნა ბრძოლების მხოლოდ მეორე ეტაპზე, როცა ინგლისელთა ჯარები მათ მიერ დაკავებულ ნაღმიან მინდვრებზე გამაგრდნენ. ხმელთაშუა ზღვის ფლოტი წარმატებით ეხმარება სახმელეთო ჯარების ოპერაციებს.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 26 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 25 ოქტომბერს მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა რამდენიმე ბომბი ჩამოჰყარეს ინგლისის დასავლეთ სანაპიროს ორ პუნქტში და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს ერთ პუნქტში. გამოწვეულია ერთგვარი ზარალი, არის მსხვერპლი. 25 ოქტომბერს ღამით მტრის თვითმფრინავები ინგლისში არ გამოჩენილან.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 24 ოქტომბერს ღამით მტრის ავიაციის თავდასხმა ცენტრალური ინგლისის ერთ-ერთ ქალაქზე მეტად სასტიკი იყო. არის მსხვერპლი. ბევრი სახლი დაინგრა და აფეთქების ტალღამ დიდი ზარალი გამოიწვია. 25 ოქტომბერს დღისით ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს ქალაქზე თავდასხმის დროს გერმანელი მფრინავები ზარბაზნებს უშენდნენ ქუჩებს. ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე პატარა ქალაქში დაბომბვის შედეგად არიან დახოცილნი. რამდენიმე კაცი დანგრეულ შენობებს ქვეშ მოჰყვა.

ინგლისის ავიაციამ 25 ოქტომბერს დილით იერიში მიიტანა მტრის სამხედრო ბანაკზე ჰაერის მახლობლად. ბომბები მოხვდა რამდენიმე ბარაკს, რომლებშიც ხანძარი გაჩნდა. ინგლისის ყველა მფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

Ა. Შ. ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲛᲐ ᲛᲝᲘᲬᲝᲜᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ 18 ᲓᲐ 19-ᲬᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 26 ოქტომბერი (საკდესი). ა. შ. შტატების სენატმა მოიწონა კანონპროექტი 18 და 19 წლის ასაკის ჭაბუკთა სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ იმ შესწორებით, რომ ამ ასაკის ჯარისკაცები შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ არსებულ ფრონტებზე შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ გაიგზავნონ, რაც ისინი ერთწლიან მომზადებას გაივლიან. წარმომადგენელთა პალატას ჯერ კიდევ არ მოუწონებია ეს შესწორება, რომლის წინააღმდეგაც გადაჭრით გამოდიან რუზველტი და სამხედრო და საზღვაო სამინისტროები. კანონპროექტში შეტანილია შესწორება, რაც აგრეთვე წარმომადგენელთა პალატას ჯერ კიდევ არ მიუღია, რომელიც კრძალავს სოფლის მეურნეობაში და სხვა იმ სამუშაოებზე მომუშავე მუშათა მობილიზაციას, რომელთაც დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვთ, სანამ მათ არ მოუნახავენ დამაკმაყოფილებელ შეცვლას.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲐᲜᲝᲖᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 25 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 24 ოქტომბერს დღისით „ლანკასტერის" ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ მილანის სამრეწველო ობიექტებს. ქალაქში ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ერთი ბომბი წონით 1,6 ტონა დიდ ქარხანას მოხვდა. ქარხნის საამქროთა მთელ ჯგუფს ალი მოედო.

24 ოქტომბერს ღამით, მილანოზე დღისით თავდასხმის რამდენიმე საათის შემდეგ, ინგლისელთა ბომბდამშენებმა კვლავ მიიტანეს იერიში მთელ რიგ ობიექტებზე ამ ქალაქში, აგრეთვე ჩრდილოეთ იტალიის სხვა პუნქტებში.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲗᲐ ᲣᲦᲔᲚᲥᲕᲔᲨ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 25 ოქტომბერი (საკდესი). ჰიტლერული გაზეთების ცნობები უკრაინის ოკუპირებული რაიონებიდან მოწმობენ საბჭოთა მოქალაქეების მძიმე ტანჯვას ჰიტლერელ ოკუპანტთა უღელქვეშ. ქალაქის დამშეული მოსახლეობა დაძრწის რაიმე საზრდოს საშოვნელად. გაზეთმა „დერ ნოიე ტაგმა" მოათავსა თავისი კორესპონდენტის „ნარკვევი" უკრაინის ოკუპირებულ რაიონებში მგზავრობის შესახებ. „ჯარისკაცთა მასაში, რომლებიც რკინიგზით მიდიან, — სწერს ჰიტლერელი კორესპონდენტი, — ბევრი „მოქალაქე" შეიძლება ნახო. ჩვენ მათ ბორბლებზე შემდგარ, სილატაკეს ვეძახით. გერმანელთა პოლიცია მუდმივ ბრძოლას ეწევა მათთან. ყოველ სადგურზე ხდება შემზარავი სცენები. ჩამოკონკილი ქალები, ბავშვები და მოხუცები ღამეს გარეთ ათევენ სადგურთა მახლობლად. მიუხედავად ყოველგვარი გაჭირვებისა, ისინი ვიწრო და ჭუჭყიან სატვირთო ვაგონებით ზადადიან და გადმოდიან".

სულ უფრო ძლიერდება პარტიზანული ომის ცეცხლი. გაზეთი „დოიჩე უკრაინე ცაიტუნგი" უჩივის „საბჭოთა პარტიზანების ვერაგობას". ჰიტლერელები იმ „პირებს, ვინც პარტიზანთა ადგილსამყოფელს უჩვენებს, მატერიალურ სარგებელსა და საქონლის გაცემის დროს უპირატესობას" ჰპირდებიან. მაგრამ იგივე გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ მოსყიდვის ცდებს მოსახლეობა აღშფოთებით უარჰყოფს და რომ პარტიზანები მთელი მოსახლეობის ფართო დახმარებას ემყარებიან.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲛᲘᲠᲗᲐᲜ

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი არკადი სპირიდონის-ძე გეგეშიძე.

დღეს, 27 ოქტომბერს, საღამოს 5 ს. და 30 წუთზე, „კომუნისტის" კომბინატის კლუბში (ლენინის ქ. № 28, მე-3 სართული) შესდგება მასთან შეხვედრა.

კაპიტანი ა. გეგეშიძე

საბჭოთა კავშირის გმირი

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

მე ვამაყობ იმით, რომ სევასტოპოლის გმირული დაცვის ერთ-ერთი მონაწილე ვიყავი. სევასტოპოლის დამცველთა რიგებში მე 1941 წლის 28 სექტემბერს მივედი. მანამდე, სამამულო ომის დაწყების პირველ დღიდანვე, ჯერ ბესარაბიაში და შემდეგ ოდესაში ვიბრძოდი. 2 ოქტომბერს სარდლობამ ჩამაბარა ბატალიონი. სულ რჩეული, ვაჟკაცი მეზღვაურები მყავდა, მათ არ იცოდნენ რა იყო უკან დახევა.

მრავალი მძიმე ბრძოლა გადავიტანე მათთან ერთად. პირველი სასტიკი ბრძოლა, რომელიც ჩემმა მებრძოლებმა გაუმართეს ჰიტლერელ ავაზაკებს, 1941 წლის 7 ნოემბერს იყო, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავი თენდებოდა. მე მივიღე სარდლობის ბრძანება მოძალებული მტერი გამედევნა მის მიერ დაკავებულ ზღუდეებიდან. ჩავები შეუპოვარ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში. ათი დღის განმავლობაში ექვსი იერიში მივიტანე მტერზე და ყოველი შეტევა ჩვენი გამარჯვებით თავდებოდა. მტერი ერთიმეორეზე სტოვებდა დაკავებულ ზღუდეებს. მიუხედავად მტრის ძალების სიჭარბისა და მათი გააფთრებული კონტრიერიშებისა, ჩემი მებრძოლების ნებისყოფა ბოლომდე მტკიცე დარჩა, და მედგარი ბრძოლებით ისინი ჰკანცავდნენ მტრის ძალებს. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ ჩვენი პოზიციების წინ გერმანელ ჯარისკაცებისა და ოფიცრების ასობით გვამი დარჩა. ამ საბრძოლო ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის ჩემმა ბატალიონმა სარდლობისაგან მადლობა მიიღო. ამ ბრძოლაში მე დავიჭერი, მაგრამ ჩემი მებრძოლები არ დამიტოვებია, ვიდრე შემცვლელი ნაწილი არ მოგვივიდა.

ჭრილობის განსაკურნებლად სამ კვირამდე ვიყავი ჰოსპიტალში. განკურნების შემდეგ დავუბრუნდი ჩემს საყვარელ მებრძოლებს.

1941 წლის დეკემბერში სევასტოპოლის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ჰიტლერელებმა თავი მოუყარეს დიდძალ ჯარებს, გენერალური შეტევა დაიწყეს და შესძლეს ჩვენი ნაწილების შევიწროება. 17 დეკემბერს ჩემი ბატალიონი სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი ამ უბანზე, და სხვა ნაწილებთან თანამოქმედებით გადავედით კონტრშეტევაზე. ორი-სამი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ და უკუვაქციეთ.

ჰიტლერელ ბანდებს განზრახული ჰქონდათ ერთი დაკვრით აეღოთ სევასტოპოლი, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდათ. ისინი წააწყდნენ თავდაცვის ისეთ მძლავრ სისტემას, რომელმაც შეაჩერა მათი წინსვლა, ქანცი გამოაცალა მათს ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. მარცხი რომ განიცადეს, ისინი იძულებული გახდნენ მოემზადებინათ ახალი შეტევა გმირ ქალაქზე, შავი ზღვის ფორპოსტზე.

მახსენდება ახალწლის წინა ღამე. მტერმა მოახერხა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაღლობის დაკავება, საიდანაც ემუქრებოდა ჩვენი ჯარების განლაგებას. მე მივიღე სარდლობის საბრძოლო დავალება გამედევნა მტერი ამ მაღლობიდან. რამდენიმე საათი მოგვეცა დავალების შესასრულებლად. მტრის გრიგალისებურ ცეცხლში ჩემმა მებრძოლებმა შესძლეს მაღლობთან მიახლოება. ფერდობებზე თითქმის ერთი კილომეტრის მანძილზე ხოხვით ავიდნენ და ხელყუმბარებით ამოჟლიტეს გერმანელები თავიანთ სანგრებში. დავალება წარმატებით იქნა შესრულებული. გერმანელებს წავართვით მაღლობი, რომელზეც მტერმა 150 „სს"-ელი ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვა. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 12 ხელისა და 2 დაზგის ტყვიამფრქვევი, 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 10 ავტომატი, 5 ნაღმსატყორცნი, 13 შაშხანა, 3 ყუთი ნაღმი და 30 ათასი ვაზნა. ამ ოპერაციის შესრულებისათვის დამაჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით. ასევე ჯილდო მიიღო ჩემი ნაწილიდან 18 მებრძოლმა.

ივნისში სევასტოპოლის მდგომარეობა მეტად გართულდა. გერმანელთა და რუმინელთა დივიზიები გააფთრებით უტევდნენ გმირ ქალაქს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ჩვენი სახელოვანი მებრძოლების, სევასტოპოლის დამცველთა ნებისყოფის, შეუპოვრობის გასატეხად. ამ მძიმე პერიოდში ჩემი ბატალიონი გადაიყვანეს ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე. მტერმა შესძლო ამ უბანზე ფრონტის გარღვევა და ემუქრებოდა სევასტოპოლის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს. მივიღე საბრძოლო დავალება გადამეჭრა გზა მოძალებული მტრისათვის.

ბატალიონი სწრაფად გავიდა მტრის შესახვედრად, გადაუჭრა გზა და საშუალება არ მისცა თუნდაც ერთი ნაბიჯი გადმოედგა წინ. ამ დღეს ჩვენ მტრის რამდენიმე გააფთრებული იერიში მოვიგერიეთ, მეორე დღეს კი მტრის ზურგში ოთხჯერ შევიჭერით, დიდი ზარალი მივაყენეთ მას და, მიუხედავად მტრის ძალების სიჭარბისა და უკეთესი საბრძოლო პოზიციებისა, ოთხჯერვე მოვახერხეთ დიდი ნადავლით გამოსვლა.

ამ მძიმე საბრძოლო ოპერაციის ჩატარებისას მე უკანასკნელ ბრძოლაში მძიმედ დავიჭერი მარცხენა ფეხში და გრძნობა დავკარგე. როდესაც გონს მოვედი, ბრძოლა კვლავ მიმდინარეობდა და მტრის გარემოცვა გვემუქრებოდა. მე ბრძანება მივეცი ჩემს მებრძოლებს რაც შეიძლება სწრაფად დაეღწიათ თავი მტრის რკალისაგან, რადგან ეს რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. ჩემმა მებრძოლებმა იწყეს ამ რკალიდან ბრძოლით გამოსვლა. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს წუთები, და ეს იმიტომ, რომ აქ ერთხელ კიდევ დავრწმუნდი ჩვენი მებრძოლების თავგანწირვაში, ამხანაგისადმი ერთიერთდახმარების მაღალ გრძნობაში, მეთაურისადმი სიყვარულსა და მისთვის თავდადებაში. ჩემს გვერდით მკერდში დაჭრილი მეზღვაური იყო. როგორც კი დამინახა გონებიხდილი, მან სწრაფად შეაფასა შექმნილი ვითარება, მოიხსნა ქამარი, მკლავქვეშ მხრებში და ხოხვით წამიყვანა. მე გრძნობა ხელმეორედ დავკარგე ძლიერი, აუტანელი ტკივილისაგან. როდესაც გონს მოვედი, უკვე სამშვიდობოს ვიყავი. ჩემს მებრძოლს მთელი ორი კილომეტრის მანძილზე სულ ხოხვით ვუტარებივარ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც იცლებოდა სისხლისაგან. ასეთ ვაჟკაცებთან, ასეთ თავდადებულ ადამიანებთან ერთად მართლაც რომ საგმირო საქმეების გაკეთება შეიძლება. ამიტომ იყო, რომ ამ ჩვენმა უკანასკნელმა საბრძოლო ოპერაციამ სევასტოპოლში სარდლობის მადლობა მიიღო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მე საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მომანიჭა და ჩემი ნაწილის ბევრი მებრძოლი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა.

სევასტოპოლისათვის ბრძოლაში თავი ისახელა მრავალმა ქართველმა. საბჭოთა კავშირის გმირი შუქური ნოე ადამია ჩემს ნაწილში იბრძოდა. მან სახელი გაითქვა როგორც სნაიპერმა, მუშაობდა ჩემს ნაწილში სნაიპერ-ინსტრუქტორად. მისმა ტყვიამ მრავალ ჰიტლერელ ავაზაკს მოუსპო სიცოცხლე.

სახელი გაითქვა ჩემს ბატალიონში აგრეთვე გრიგოლ ჩახავამ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი ამხ. ჩახავა, როგორც კი მოვიდა ჩემს ნაწილში, დაეწაფა სამხედრო საქმეს, ათვისებას და მალე თავი გამოიჩინა მრავალ ბრძოლაში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მის გვერდით მეტყვიამფრქვევე გამოვიდა მწყობრიდან. ამხ. ჩახავამ ორივე ტყვიამფრქვევს გაუწია მომსახურება. როდესაც ერთი ტყვიამფრქვევი განუწყვეტელი სროლისაგან ძალზე ხურდებოდა, ამხ. ჩახავა სწრაფად გადადიოდა მეორე ტყვიამფრქვევზე და აგრძელებდა განუწყვეტელ სროლას. ასე იბრძოდა ამხ. ჩახავა, ვიდრე მძიმედ არ დაიჭრა.

სევასტოპოლისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს აგრეთვე გ. ყურაშვილმა, რუხიამ და ბევრმა სხვა ქართველმა. თითოეული მათგანი იბრძოდა იმ შეგნებით, რომ ისინი იცავენ დიად საბჭოთა ქვეყანას, საყვარელ მშობელ ხალხს,

სევასტოპოლის გმირმა დამცველებმა თავისი დაუვიწყარი სახელოვანი ბრძოლებით კიდევ უფრო გაამდიდრეს საბჭოთა იარაღის, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდება.

სიმამაცის, ვაჟკაცობის, შეუპოვრობისა და უშიშრობის მაგალითები გვიჩვენეს სევასტოპოლელებმა. მათმა გმირობამ აღაფრთოვანა ჩვენი სახელოვანი მებრძოლები ახალი საგმირო საქმეებისათვის. და დღეს სტალინგრადისა და კავკასიისათვის ბრძოლაში ჩვენი სახელოვანი წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი ახალ ბრწყინვალე ფურცლებს სწერენ დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

საბჭოთა ხალხის მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი, დაუცხრომელი სიძულვილი საზიზღარი მტრის—გერმანელ ოკუპანტებისადმი,—აი ის უდიდესი ძალა, რომელიც საბოლოოდ გაანადგურებს ფაშისტ არამზადებს.

გენიალური მხედართმთავრის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წითელი არმია გაათავისუფლებს ჩვენს ქვეყანას გერმანელ დამპყრობლებისაგან და კვლავ აყვავდება საბჭოთა ქვეყანა, კვლავ იცხოვრებს ჩვენი ხალხი ბედნიერი, მშვიდობიანი ცხოვრებით.

ჩვენი ხალხის ამ ბედნიერი ცხოვრებისათვის, სამშობლოსათვის, სტალინისათვის, მე მზად ვარ კვლავ წავიდე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე. მძიმე ჭრილობის გამო ერთი წლის შევბულება მომაკუთვნეს, მაგრამ ახლა ტკივილებს ნაკლებად ვგრძნობ, ამიტომ უარი განვაცხადე ასეთ ხანგრძლივ შვებულებაზე და მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როდესაც კვლავ ჩავუდგები სათავეში ჩემს სახელოვან, ვაჟკაც მეზღვაურებს. მთაერობის მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით, მეტი სიმტკიცით ვეკვეთები საზიზღარ მტერს. ვიბრძოდი და კვლავ ვიბრძოლებ იმ ღრმა რწმენით, რომ ვერაგი მტრები—კაციჭამია ჰიტლერელები ახლო მომავალში განადგურებული და განდევნილი იქნებიან ჩვენი დიადი საბჭოთა მიწა-წყლიდან.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ Ა ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ

27 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, კიროვის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის კლუბში (სასწავლო შენობა № 2/4) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ამხ. **დმიტრიევის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში.

28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში (მარის ქ. № 1) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ამხ. **დმიტრიევის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".**

ბილეთების შეძენა შეიძლება ორჯონიკიძის რაიაგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 11).

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ: საოპერა—„ალი". რუსთაველის სახელობის — „კიკვიძე". მარჯანიშვილის სახელობის — „ინჟინერი სერგეევი". გრიბოედოვის სახელობის—„თივა და ავი ძაღლი". სომხური თეატრი—„ნამუსი". აბუნდოვის სახელობის—„ასლი და ქერიმ". მუსიკალური კომედიის — „არშინ-მალ-ალან". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „პატარა მეომრები". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „გაუზრდელი". მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი—„ემანუელ".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის 33-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მასწავლებლის იულია უროტაძის ძმისწულის

ᲯᲝᲛᲐᲚ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲣᲠᲝᲢᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალებას. გამოსვენება 27/X, 6 ს. არუვანის ქ. № 9. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
1359

საქპურტრესტის კუსტარულ წარმოებათა სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან შალვა ალხაზიშვილის დის

ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲐ ᲓᲘᲝᲛᲘᲓᲔᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲐᲚᲮᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალებას. გამოსვენება 27/X, 6 ს. რიყის ქ. № 7, რკინიგზის სადგურზე.
1358

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11023